

## პრესრელიზი

### “GIEC”-ის მონაწილეობა - ახალი კანონპროექტის განხილვა და კერძო კომპანიების ჩართულობა საჯარო სივრცეში

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) და ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის (BEC) ერთობლივი ორგანიზებით პარლამენტში გამართულ „წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის“ საჯარო განხილვაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ელექტროენერჯის სფეროში მოქმედი ბიზნეს კომპანიების სახელით მან წარმოადგინა აღნიშნული კანონის პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები.

კერძოდ, ლევან ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ კანონის პროექტი ითვალისწინებს როგორც წყლის აღებასა და ჩაშვებაზე ახალი ვადიანი სანებართვო სისტემის შემოღებას, ასევე მდინარეების აუზების კლასიფიკაციას, რამაც, დანახარჯების ზრდის გამო მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს ელექტროსადგურების ფინანსურ მაჩვენებლებზე. კანონის პროექტში, სავარაუდოდ, გამორჩენილია თბოელექტროსადგურებისთვის წყლის აღების საკითხები, ისევე როგორ, არ არის ნათლად გაწერილი საირიგაციო სისტემებზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დეტალები.

საბოლოო ჯამში, ლევან ვეფხვაძემ პოზიტიურად შეაფასა ის ზოგადი მიზნები, რაც კანონის პროექტის მომზადებას დაედო საფუძვლად, თუმცა აღნიშნა, რომ კანონის მიღებამდე საჭიროა ბიზნეს კომპანიების მეტი ჩართულობა, რათა არ დაზარლდეს მათი ინტერესები და ხელი არ შეეშალოს ბიზნესის საქმიანობას საქართველოში.

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

